

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 3/3512022701/12

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“11” “05” 2011 წ

ხელშეკრულების დამდები მხარეები	Parties of the Agreement
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში “შემსყიდველი”), ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი #144, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი 211333957, მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით და სააქციო საზოგადოება “ნოვო ნორდისკ A/S” (შემდგომში “მიწოდებელი”), დანია, ნოვო ალლე, DK-2880 ბაგსვერდ, CVR #24256790, საბანკო დეტალები: „Citibank“, New York, სვფტი: CITIUS33, ABA კოდი 021000089, ფილიალი 930, IBAN/ანგარიშის ნომერი 30733459, ვიცე-პრეზიდენტის სერგეი სმირნოვის და რეგიონის გენერალური მენეჯერის ფრედერიკ კიერის სახით.	Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia (hereinafter referred to as „Purchaser“), No 144, Tsereteli Ave. Tbilisi, Treasury Service of Ministry of Finance, identification code 211333957, in person of Deputy Minister Mr. David Lomidze and “NOVO NORDISK A/S”, (hereinafter referred to as “Supplier”), Denmark, Novo Alle, DK -2880 Bagsvaerd, CVR #24256790, Bank details: Citibank, New York SWIFT: CITIUS33, ABA code 021000089, Branch 930, IBAN/acc.number 30733459 in persons of the Vice-President of BACIS, Mr. Sergey V. Smirnov and GM CIS Rising countries Mr. Frederik Kier.
2. ხელშეკრულების საგანი 2.1. მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის 2011-2013 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დიაბეტით დაავადებულ მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის მიხედვით სამკურნალო საშუალებების (CPV კოდი - 33600000) სახელმწიფო შესყიდვა: 2.1.1. ინსულატარდი (100 ს.ე./მლ, 10 მლ ფლაკონი) – 530 000 (ხუთასოცდაათი ათასი) ფლაკონი; 2.1.2. აქტრაპიდი (100 ს.ე./მლ, 10 მლ ფლაკონი) – 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ფლაკონი.	2. Subject of the Agreement 2.1 State purchase of medicines according to the component of providing adult patients with Diabetes Mellitus with medical means within the framework of state program 2011-2013 for supplying population with the specific medicines, particularly the Supplier has sold and the Purchaser has bought the following goods (CPV code - 33600000) (hereinafter – “Goods”): 2.1.1 Insulatard ® HM (100 IU/ml 10 ml/vial) – 530 000 (five hundred and thirty thousand) vial; 2.1.2. Actrapid ® HM (100 IU/ml 10 ml/vial) – 350 000 (three hundred and fifty thousand) vial.
3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება 3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3 748 800 ლარს. 3.2 საქონლის ერთეულის ღირებულება შეადგენს: 3.2.1. ინსულატარდი (100 ს.ე./მლ, 10 მლ ფლაკონი) – 4,26 ლარი; 3.2.2. აქტრაპიდი (100 ს.ე./მლ, 10 მლ ფლაკონი) – 4,26 ლარი; 3.3. მითითებული ფასი მოიცავს ყველა დანახარჯს საქონლის თბილისამდე CIP (Incoterms-2000)	3. Total value of the Agreement 3.1. Total value of the Agreement is 3 748 800 GEL. 3.2. Price per vial of the Goods: 3.2.1. Insulatard ® HM (100 IU/ml 10 ml/vial) – 4,26 GEL; 3.2.2. Actrapid ® HM (100 IU/ml 10 ml/vial) – 4,26 GEL; 3.3. All prices are firm during the whole validity term of this Contract and understood as CIP (Incoterms-2000) Tbilisi, Georgia, i.e. prices include the cost of packing,

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

პირობით მიწოდების, შეფუთვის, მარკირების, დაზღვევისა და სხვა თანმდევ ხარჯებს ჩათვლით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი კოორდინატორი-სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მაკა ჩაჩანიძე, ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი პირი.

5. შეფუთვა

5.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში.

რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის სრული უსაფრთხოება, ტრანსპორტირებისას შესაზღო დაზიანებისა და გაფუჭებისგან.

5.3. თითოეული ყუთი უნდა იყოს დანომრილი და მათზე მკაფიოდ უნდა იყოს დატანილი შემდეგი ინფორმაცია: მწარმოებლის დასახელება და მისამართი, ტვირთის რაოდენობა, პროდუქციის დასახელება და ვარგისიანობის ვადა, სერიის ნომერი, საქონლის შენახვის პირობები.

6. საქონლის მიწოდების და მიღება-ჩაბარების პირობები

6.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, ასეთი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 8 კვირის განმავლობაში INCOTERMS-2000-ით დადგენილი წესების თანახმად CIP თბილისი.

საქონლის მიწოდების დღედ ჩაითვლება შემსყიდველის ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის დაფიქსირების თარიღი.

რის შემდეგაც შემსყიდველზე გადადის პასუხისმგებელია საქონლის დაკარგვის ან

marking, transport expenses and insurance.

4. Control over fulfillment of the Agreement

Control over fulfillment of the Agreement will be undertaken by Coordinator of controlling fulfillment of the Agreement – chief specialist of state procurement agency of the Ministry administrative department - Maka Chachanidze or other authorized person.

5. Package

5.1. Goods to be supplied should be packed in accordance with appropriate standards.

5.2. Supplier shall secure the packing to provide the full safety of the goods from any kind of damage during it transportation and storage..

5.3 Each box must be numbered and should clearly reflect the following information: Name and address of the manufacturer, number of units, name of the product and shelf life, batch number and storage conditions.

6. Terms of supply and delivery/receipt of goods

6.1. Goods will be supplied gradually, as per Purchaser's written requests, according to regulations established by INCOTERMS-2000, CIP Tbilisi. Goods as per written requests, for every delivery should be delivered at Tbilisi, Georgia, within 8 weeks after receipt of such request.

The date of delivery is considered the date of delivery of goods to the carrier contracted by Supplier.

The Purchaser must bear all risks of loss of or damage to the goods from the time they have been delivered in accordance with this clause.

The Purchaser performs customs clearance (import

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

დაზიანებაზე. შემსყიდველი თვითონ უზრუნველყოფს მოქოდებული საქონლის განაგებისათვის საჭირო პროცედურებს	licenses) of the goods after cargo arrival to Tbilisi, Georgia.
წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირობის მიუხედავად. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ქვემოთ მითითებული პირობებისა და ეტაპების შესაბამისად:	Notwithstanding the provisions of first paragraph of this clause, the Parties do hereby agree to deem the below deliveries as requested by the Purchaser. Therefore the Supplier is obliged to supply the below Goods on given terms and the Purchaser is obliged receive and pay the below Goods on given terms:
პირველი მიწოდება: ინსულატარდი (100 ს.ე./მლ, 10 მლ ფლაკონი) - 53 000 (ორმოცდაცამეტი ათასი) ფლაკონი; აქტრაპიდი (100 ს.ე./მლ, 10 მლ ფლაკონი) - 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ფლაკონი. მიწოდების ვადა: არაუგვიანეს 2011 წლის 16 მაისი.	First delivery: Goods: Insulatad® HM 100IU/ml 10ml/vial, volume: 53 000 vials; Actrapid®HM 100IU/ml 10 ml/vial, volume: 35 000 vials. Terms of delivery: no later than May 16, 2011.
შემდგომი მიწოდება: ინსულატარდი (100 ს.ე./მლ, 10 მლ ფლაკონი) - 100 000 (ასი ათასი) ფლაკონი; აქტრაპიდი (100 ს.ე./მლ, 10 მლ ფლაკონი) - 60 000 (სამოცი ათასი) ფლაკონი. მიწოდების ვადა: არაუგვიანეს 2011 წლის 30 ნოემბერი.	Second delivery: Goods: Insulatad® HM 100IU/ml 10ml/vial, volume: 100 000 vials; Actrapid®HM 100IU/ml 10 ml/vial, volume: 60 000 vials. Terms of delivery: no later than November 30, 2011.
6.2. საქონლის მოწოდებისას, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:	6.2. Upon delivery of goods the Supplier should submit following documents to the Purchaser:
6.2.1. დეტალური ინვოისი~ (რომელშიც მოწოდებული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის და შესაბამისი საერთო ფასი გამოსახული იქნება აშშ დოლარში, ეროვნული ვალუტის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით ტვირთის შეკვეთის დღისთვის, რომელიც ასევე მიეთითება ინვოისში); 6.2.2. სატვირთო-სატრანსპორტო ზედდებული; 6.2.3. ანალიზის სერთიფიკატი; 6.2.4. წარმოშობის სერთიფიკატი; 6.2.5. ბილოფლიტიინგი~ (ავია ზედდებული).	6.2.1. Detailed invoice (reflecting number of units and total price of goods in USD envisaged by Agreement, according to exchange rate of USD against national currency established by National Bank of Georgia on the date of ordering the shipment, which will also be indicated in the invoice); 6.2.2. Way bill; 6.2.3. Certificate of analysis; 6.2.4. Certificate of origin; 6.2.5. Bill of lading (AWB);

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

6.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამკურნალო საშუალების მოწოდება შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის მკაცრი დაცვით, „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების გათვალისწინებით.

7. საქონლის ვარგისიანობის ვადა

7.1. მოსაწოდებელი საქონლის ვარგისიანობის ვადა განისაზღვრება არანაკლებ 12 თვით საქონლის მოწოდების მომენტიდან.

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია მოწოდებული საქონლის წუნდების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 45 დღეში განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება აშშ დოლარში, საქონლის მიწოდების დღიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის და შესაბამისი საერთო ღირებულების (ლარში) მიხედვით, ანგარიშსწორების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ეროვნული ვალუტის მიმართ დადგენილი კურსით.

9. ფასები

9.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება ლარებში განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ერთეულის ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) წინადადების მიღების დასრულების დღისთვის, აშშ დოლართან მიმართებაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ეროვნული ვალუტის (ლარი) კურსის (1 აშშ დოლარი = 1.7059

6.3. Supplier should strictly follow established temperature conditions while shipment of goods, considering principles of “cold chain”;

7. Shelf-life of the goods

7.1. Shelf-life of the goods is no less than 12 months from the moment of delivery of goods.

7.2. Supplier is obliged to replace defective goods no later than 45 days after receipt of written notice about such defect from the Purchaser without charging purchaser with any additional expenses.

8. Terms of payment

8.1. Payment will be made by bank transfer.

8.2. Payment will be made in USD during 10 working days after cargo arrival at Tbilisi, Georgia based on price per unit according to Agreement in GEL and currency rates established by National bank of Georgia on the day of payment.

9. Change in Prices

9.1. Cost in GEL of goods to be purchased is determined according to price-list submitted by Supplier and represents inseparable part of this Agreement.

9.2. Change in prices per unit given in this Agreement is possible only in following cases:

a) Increase or decrease of currency rate (1USD=1, 7059 GEL) by no less than 5% against national currency (GEL) at the end of proposal receipt day.

b) Changes in tax system, directly affecting fulfillment of provisions of this Agreement, resulting in an increase or decrease prices by 5% or more.



ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

ლარი) არანაკლებ 5% ცვლილების შემთხვევაში, როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში;

ბ) საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შემცირებს ფასებს 5%-ით ან მეტით;

გ) თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას, ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილი იქნას ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი

დ) დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას;

9.3. ფასების შეცვლის ინიციატორმა მხარემ წინასწარ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობითი ფორმით. ფასების ცვლილება ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ამასთან ნებისმიერ დროს შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ფასების ცვლილებაზე, რაც არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად ან/და შეუსრულებლობად და არ გამოიწვევს მეორე მხარის მიმართ რაიმე სახის საჯარიმო სანქციის ან სხვაგვარი პასუხისმგებლობის გამოყენებას.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო;

10.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

10.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

c) If the conditions that agreement was based on after the complete the agreement will totally change, the parties have to elaborate new agreement with new content where the changes will be introduced otherwise it can be requested to adjust agreement with new reality.

d) Change of unit price in such a way which increases total cost of this Agreement by more than 10% is inadmissible.

9.3. Party initiating changes in prices under clause 9.1. should notify in writing the other Party in advance. Changes in prices will be mutually agreed in writing. In addition any party is allowed to terminate this Agreement in case if Parties don't achieve agreement on price changes, which won't be considered as abrogation and/or non-fulfillment of provisions of this Agreement and won't result in imposing any sanctions or other responsibilities on other Party.

10. Responsibilities of Parties

10.1. The Purchaser has right to terminate this agreement if supplied Goods do not comply with quality requirements under this Agreement;

10.2. The Purchaser is obliged to make payment for the goods in time on supplier's bank account;

10.3. The Supplier has right to demand timely payment for delivered goods on its bank account;



ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

10.4. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

10.5 შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს მოწოდებული საქონლის შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების დაცვა, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ში მითითებული პირობების შესაბამისად.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი დარღვევა გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულების საბანკო გარანტიის (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%) მთელი ოდენობით დაკავებას და მიმწოდებლისათვის დაუბრუნებლობას.

11.2. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამოვლენა და ამის შესახებ გარანტიის გამცემი ბანკის ინფორმირება წარმოადგენს ძირითად საფუძველს გარანტიის გამცემი ბანკის მიერ საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის შემსყიდველის ანგარიშზე გადარიცხვისათვის.

11.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნოს მას გარანტია მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტისას;

12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

12.1. საქონლის მოწოდებისათვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით იხდის პირგასამტეხლოს შეუსრულებელი ვალდებულებს ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

12.2. ხელშეკრულების მე-8 პუნქტის 8.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში “მიმწოდებელი” უფლებამოსილია დააკისროს “შემსყიდველს”

10.4. The Supplier is responsible to deliver goods to the Purchaser with appropriate quality determined by the present agreement in accordance with conditions foreseen.

10.5 The Purchaser is obliged to comply with and will be responsible for compliance with requirements set forth in Appendix 1 to this Agreement to transportation and storage of Goods supplied by the Supplier.

11. Guarantee for fulfillment of the agreement

11.1. The Supplier is obliged to submit the Bank Guaranty for 2% of total value of the Agreement in order to secure fulfillment of the Agreement by the Supplier. The Guaranty issued by Danske Bank (Holmens Kanal 2-12, DK 1092, Copenhagen K) is irrevocable and valid till 31, January, 2014.

11.2. Disclosure of violation facts against provisions of this agreement and providing information about these facts to guarantee granting bank represents a main basis for granter bank to transfer pursuant to the bank guarantee guaranteed amount on the Purchaser's account.

11.3. In case of receipt of written request from the Supplier, the Purchaser is obliged to return guarantee to the Supplier if termination of present agreement is caused by reasons not associated with the Supplier.

12. Responsibilities of the Parties for non-fulfillment of Agreement terms

12.1. In the event of violation of terms considered for delivery of goods, Supplier has to pay penalty at the rate of 0,1% of the amount payable for each due date.

12.2. In the event of abrogation of payment terms stipulated in sub-paragraph 8.2, paragraph 8 of this Agreement, Supplier is authorized to impose a penalty on Purchaser at the rate of 0,1% of the amount payable for each due date. Such right may be enjoyed by Supplier only at its sole discretion and represents no

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

12.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მომწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

13. ფორს-მაჟორული სიტუაცია

13.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

13.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

- ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
- ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
- გ) ეპიდემიები;
- დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
- ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის,

liability.

12.3. Penalty payment does not release neither of the Parties from fulfillment of basic responsibilities.

12.4. In case if total penalty amount imposed on the Parties for payment delay reaches 2% of total value of this Agreement, the Party enjoying the right for penalties shall also have a right to terminate present Agreement.

13. Force-majeure

13.1. Based on the Agreement none of the Parties is responsible against another and is released from responsibility to meet obligations fully or improperly (partially) if this was caused by occurrence of special insuperable force which represents no responsibility of the Parties and they could not know about it by the moment of concluding this Agreement.

13.2. Insuperable force may include (but not limited to):

- a) Natural disasters (fire, flood, earthquake, storm and others);
- b) Announced or unannounced war, civil unrest, any kind of military activity, emergency situation;
- c) Epidemy;
- d) Blockade or any economical embargo;
- e) Decision of any governmental unit, or any authority recognized to be competent and release of standard act, which influences fulfillment of obligations envisaged by this Agreement and changes, terminates or cancels agreement provisions and terms.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

13.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

13.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

13.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

13.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

13.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდე გონივრულ ვადებში.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.2 ხელშეკრულების 14.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე.

14.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი

13.3. Force-majeure has to be confirmed by competent authorities.

13.4. The party must immediately notify another Party about force-majeure circumstances by any available means of communication (phone, fax, email, courier or postal service and etc.).

13.5. Existence of force-majeure does not automatically terminate this Agreement. The Parties have to determine issues of force-majeure in relation to present Agreement.

13.6. Upon termination of force-majeure circumstances the Parties immediately continue fulfillment of obligations undertaken by this Agreement.

13.7. In case of force-majeure time of non-fulfillment of obligations will last until termination of such circumstances, if not agreed otherwise between the Parties.

13.8. The Party is not released from obligations if force-majeure was caused by its fault or if obligations could have been fulfilled in reasonable terms before such circumstances.

14. Termination of the Agreement

14.1. Agreement can be terminated by initiative of either party on basis of mutual written agreement.

14.2. In case of existence of condition set force in paragraph 14.1, either party is responsible to inform the other party in writing about such conditions no later than 15 working days.

14.3. Written notice does not set parties free from responsibilities undertaken in this agreement until termination of the agreement.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

ვალდებულებების შესრულებისაგან
ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. თუ მხარეები ამგვარი მოლაპარაკების შედეგად ვერ მიაღწევენ პრობლემის მოგვარებას, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საარბიტრაჟო სასამართლოს, ქვემოთ მითითებული პირობების დაცვით.

ყველა სადავო საკითხი, რომელიც ვერ მოგვარდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე უნდა დარეგულირდეს სტოკჰოლმის სავაჭრო არბიტრაჟის, ერთი ან მეტი არბიტრის მეშვეობით, არსებული წესებისა და რეგულაციების შესაბამისად.

არბიტრაჟის ადგილად განისაზღვრება ქ. სტოკჰოლმი, შვედეთი. სადაც საქმის მოსმენა იმართება ინგლისურ ენაზე. მხარეები თანხმდებიან, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა ორივე მხარისთვის.

მხარე რომელიც გადაწყვეტს საქმე გადაგზავნოს არბიტრაჟში ვალდებულია ოფიციალური წერილით შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს. სადაც მითითებული თარიღი, შეთანხმების ნომერ და დავის საგანი.

მხარეები დავის გადაწყვეტის მიზნით არ მიმართავენ სხვა სასამართლოს.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

16.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

15. Disputes and ways of their settlement

15.1 Disputes and ways of their settlement
Both Parties will use their best efforts to settle all matters in dispute amicably. All disputes and differences of any kind related to this Agreement, which cannot be solved amicably by the Parties, shall be referred to arbitration as described below.

All disputes arising out of or in connection with the present Agreement shall be finally settled under the Rules of Arbitration Institute of the Stockholm Chamber of Commerce by one or more arbitrators appointed in accordance with the said Rules.

The seat of arbitration shall be Stockholm, Sweden and arbitral proceedings shall be conducted in the English language. The award of the arbitrators shall be final and binding on both Parties. The Parties bind themselves to carry out the awards of the arbitrators.

The Party which wishes to refer the dispute to Arbitration shall notify the other Party by registered letter stating there date and number of the Agreement as well as the subject of the dispute.

The applications to the State courts are excluded.

16. Other conditions

16.1 The Parties follow principles of mutual respect and desire to deepen cooperation.

16.2. Contracting parties are obliged to further protection of the name, business reputation and dignity of the other party.

16.3 Parties are obliged not to disclose information about other party acquired as a result of mutual business

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#52426/2011/Georgia/MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

16.3 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

16.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

16.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

16.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ და ინგლისურ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. დავების განხილვის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან დოკუმენტს.

16.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

16.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,
საიდენტიფიკაციო კოდი 211333957
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ.#144

activities.

16.4. Contracting parties have no right to announce about the inability to fulfill, non-fulfillment or improper fulfillment etc. by other party, before the corresponding issue is mutually studied and appropriate facts are confirmed.

16.5. The fact will not be considered as abrogation of confidentiality when the disclosure of information is demanded by the law or the act released by any governmental authority on the basis of law.

16.6. The present agreement is drawn up in three copies in Georgian and English languages, each one having equal legal force. Two copies of agreement are kept with the Purchaser and one – with the Supplier. In case of any dispute English version will prevail.

16.7. All the amendments and changes to the present agreement are valid if drawn up in written form and signed by fully authorized representatives of both parties.

16.8. Period of validity of a Agreement valid is 31 December of 2013 year

17. Legal addresses and requisites of the parties

Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia, treasury Service of Ministry Of Finance, identification code 211333957, No 144 Tsereteli Ave. Tbilisi.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

52426/2011/Georgia/ MoH

ქ. თბილისი

“-----“ “-----“ 2011 წ

მინისტრის მოადგილე

ბ-ნი დავით ლომიძე

სააქციო საზოგადოება ნოვო ნორდისკ A/S~, დანია,
ნოვო ალლე, DK-2880 ბაგსვაერდ, CVR #24256790
საბანკო რეკვიზიტები: Citibank~, New York სვიფტი:
CITIUS33, ABA კოდი 021000089, ფილიალი 930,
IBAN/ანგ. ნომერი 30733459

ვიცე პრეზიდენტი

ბ-ნი სერგეი სმირნოვი

და

რეგიონის გენერალური მენეჯერი

ბ-ნი ფრედერიკ კიერი

Deputy Minister

Mr. David Lomidze

Novo Nordisk A/S, Denmark, Novo Alle,
DK -2880 Bagsvaerd,

Bank details: Citibank, New York
SWIFT: CITIUS33, ABA code 021000089,
Branch 930, IBAN/acc.number 30733459

Vice- President of BACIS

Mr. Sergey V. Smirnov

And

GM CIS Rising countries

Mr. Frederik Kier

11



Ministry of Labour, Health
and Social Affairs of Georgia
144, Tsereteli ave., Tbilisi
Georgia

Danske Bank
Trade and Export Finance
Holmens Kanal 2-12
DK-1092 Copenhagen K
intl.guarantees@danskebank.dk
Telephone (+45) 33 44 00 00
Telefax (+45) 45 14 98 95
SWIFT-BIC: DABADKKK
www.danskebank.dk

26 April 2011

Bank Guarantee for Contract Implementation no.: 28G0253320
Amount USD 44,000.00 (US Dollars forty four thousand)
Date of Expiry 31 January 2014

At the request of NOVO NORDISK A/S , NOVO ALLE 1, DK-2880 BAGSVÆRD, DENMARK, we hereby guarantee you irrevocably for the above maximum amount to secure that our clients fulfil their obligations to supply purchase of 880.000 HI vials during 2011-2013 in accordance with Contract no. 52426/2011/Georgia/MoH, Bid no. SPA 110006970 .

Your claim(s), if any, duly made and presented to us under the guarantee will be honoured on your first demand also stating that NOVO NORDISK A/S have not fulfilled their above obligations towards you.

Where we have received no such claim by 31 January 2014 at the latest, we stand released from our liability under this guarantee.

We will reduce the guarantee maximum by any such amount, as we have had to pay in order to meet your claim(s) duly made and presented under the guarantee.

When the guarantee expires, please return this document to us.


Danske Bank
JONAS MILD, Managing Director

დანართი 2

ნოვო ნორდისკ A/S, დანია, მოხარულია გამოხატოს საკუთარი პატივისცემა და გაცნობოთ ქვემოთ მოხსენიებულის შესახებ

1. კომპანიის დეტალები:

ნოვო ნორდისკ A/S

ხელმძღვანელი:

ლარს რეზიენ სოერენსენი, პრეზიდენტი და უფროსი აღმასრულებელი პირი

მისამართი:

ნოვო ალე

DK-2880 ბაგსვერდი

დანია

ტელ: 45 4444 8888

ფაქსი: 45 4449 0555

vvl@novonordisk.com

CVR № 24256790

საბანკო დეტალები:

სიტიბანკი, ნიუ იორკი

Citibank, New York

IBAN/ანგარიშის ნომერი 30733459

SWIFT:CITIUS33

ABA კოდი 021000089

დილიალი 930

2. სატენდერო წინადადების შემოთავაზებული ფასი სახელმწიფო უზრუნველყოფის გაერთიანებულ სისტემაში:

ტენდერი № SPA110006970 – ჯამური ფასი შეადგენს 3.748.800,00 ლარს

ნოვო ნორდისკ A/S, დანიის დიგიონის გენერალური მენეჯერი
ვიქტორ ვლასოვი



ნოვო ნორდისკ A/S, დანია

თარგმანი ინგლისურიდან ქართულ ენაზე სწორია: თ.კუჭუაშვილი

Appendix 2

Novo Nordisk A/S, Denmark, would like to express our respect and inform about the following

1. Company details:

NOVO NORDISK A/S

Head person:

Lars Rebien Soerensen, President and Chief Executive Officer

Address:

Novo Alle

DK-2880 Bagsvaerd

Denmark

Tel: 45 4444 8888

Fax: 45 4444 4016

vvl@novonordisk.com

CVR No 24256790

Bank details:

Citibank, New York

IBAN/acc. number 30733459

SWIFT: CITIUS33

ABA code 021000089

Branch 930

2. Proposed price of the Tender proposal in the State Procurement unified system:

Tender No SPA110006970 – the total price is 3.748.800,00 GEL

General Manager Novo Nordisk A/S, Caucasus Region

Victor Vlasov



NOVO NORDISK A/S, DENMARK

დანართი 3.

პრაის ლისტი
ტენდერი No SPA110006970

განმცხადებლის დასახელება: ნოვო ნორდისკ A/S, დანია

#	საგნის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	სავალა ფასი	ჯამური ღირებულება	მიწოდების პერიოდი	მიწოდების ადგილი
1.	ინსულინი ინსულატარდი * 10 მლ-იანი შუშის ბოთლი 100IU/მლ	ადამიანის ინსულინი, შეაღწეული მოქმედების, 10 მლ-იანი შუშის ბოთლი, 100IU/მლ	დანია	530 000 შუშის ბოთლი	4.26 ლარი	2.257.800 ლარი	01.05.2011 - 2013	სოფ თბილისი
2.	ინსულინი აქტრაპიდი * შუშის ბოთლი 100მლ, 100IU/მლ	ადამიანის ინსულინი, ხანმოკლე მოქმედების, 10 მლ- იანი შუშის ბოთლი 100IU/მლ	დანია	350 000 შუშის ბოთლი	4.26 ლარი	1.491.000 ლარი	01.05.2011 - 2014	სოფ თბილისი

3.748.800 ლარი

ნოვო ნორდისკ A/S, დანია

ვიქტორ ვლასოვი



თბილისიდან ქართულ ენაზე სწორია: თაკუშაშვილი

Appendix 3.

PRICE LIST
tender No SPA110006970

The name of Applicant: Novo Nordisk A/S, Denmark

№	Item name	Main characters of goods	Country of origin	Quantity	Price per unit	Total cost	Delivery period	Delivery place
1	2	3	4	5	6	7	8	9
1.	Insulin Insulatard® vial 10 ml, 100IU/ml	Human insulin, intermediate-acting , vial 10 ml, 100IU/ml	Denmark	530 000 vials	4.26 GEL	2.257.800 GEL	01.05.2011 - 2013	CIP Tbilisi
2.	Insulin Actrapid® vial 10 ml, 100IU/ml	Human insulin, short-term acting, vial 10 ml, 100IU/ml	Denmark	350 000 vials	4.26 GEL	1.491.000 GEL	01.05.2011 - 2014	CIP Tbilisi

3.748.800 GEL

General Manager Novo Nordisk A/S, Caucasus Region

Viktor Vlasov

